ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა [უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების] მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

[უსდ-ის ლოგო]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარიქაძე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო

წევრები:

ნათია ბურჯანაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან შენგელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ მიქაძე, ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლა "ნიჭიერთა ათწლედი", საქართველო

სოფიო საღარაძე, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, სტუდენტი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	212907513
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	გამსახურდიას ქ. #43ა, ქ. ქუთაისი, იმერეთი, 4600, საქართველო
ვებ-გვერდი	www.kutmuscollege.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	03.01.2014 წ. გადაწყვეტილება N1
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2019

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	1
ბაკალავრიატი	1
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	29		
ბაკალავრიატი	29		
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	19 (აკად. და მოწვ. პერს.)
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	13
- პროფესორი	8
- ასოცირებული პროფესორი	5
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	2 (მასწავლებლის პოზიცია)
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	13
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	4
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4072.58 მ2
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1498.48 მ2
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2574.1 მ2

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის არსებობის ისტორია რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- ის დაარსდა 1970 წელს როგორც თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფილიალი ქუთაისში და იარსება 2007 წლამდე.
- სწორედ ამ ფილიალის ბაზაზე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 ნოემბრის # 262 დადგენილებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი, რომლის მიზნად განისაზღვრა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო საქმიანობა.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის # 1189 ბრძანების საფუძველზე სსიპ ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯისთვის გაიცა უმაღლესი საგანმანათლებლო

საქმიანობის ლიცენზია # 0812128, რის შედეგადაც 2009 წელს განხორციელდა პირველი მიღება კოლეჯის საშემსრულებლო ფაკულტეტზე ფორტეპიანოს, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავების, აკადემიური სიმღერისა და გუნდის დირიჟორობის სპეციალობებით.

ქსკ არის დასავლეთ საქართველოში მუსიკოსების აღზრდის ერთ-ერთი მნიშნელოვანი და ტრადიციული კერა. არსებობის მანძილზე მან აღზარდა არაერთი წარჩინებული და წარმატებული მუსიკოსი, რომელთა უმრავლესობა მოღვაწეობს საქართელოში: ქუთაისის, ბათუმის საოპერო თეატრებში სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებში სოლისტ-მომღერლებად, გუნდისა და ორკესტრის მსახიობებად, კამერული ანსამბლების სოლისტებად ან/და ეწევიან პედაგოგიურ და საშემსრულებლო-შემოქმედებით საქმიანობას

ქსკ-ს აქვს 1 ფაკულტეტი, რომელიც ახორციელბს საბაკალავრო პროგრამას: საშემსრუებლო ხელოვნება. რომელცი თავის მხრივ მოიცავს 4 მიმართუელბას: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყმელი) საკრავები, აკადემიური სიმღერა და აკადემიური გუნდის დირიჟორობა

ქსკ-ს ჰყავს 29 აქტიური სტდუენტი, 19 აკადემიური (აქედაბ 13 ფილირებულია: 8 პროფესორი, 5 ასოც პროფ,) 4 მოწვეული პერსოანლი და 2 მასწავლებელი.

საქმიანობის განხორციელებას ქსკ ეწევა მის კუთვნილ შენობაშ, რომელიც უზურფრუქტით გადაეცა 1990 წელს. შენობის საერთო ფართი შეადგენს 4072, 58 კვ.მ.-ს. მასში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, საკონცერტო დარბაზი, აქ იმართებოდა მასტერ-კლასები, ლექცია-კონცერტები, შემოქმედებითი შეხვედრები, სოლო და საანსამბლო კონცერტები. უნდა აღინიშNოს რომ შენობა უმძმეს მდგომარეობაშია.

ქსკ-ს შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მის ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე: http://kutmuscollege.edu.ge/

ავტორიზაციის მიზნით ადგილზე ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

- ქსკ-მ მოამზადა თვითშეფასების ანგარიში (SER) ქართულ ენაზე, რომელიც ეფუძნება NCEQE-ს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს.
- ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა SER და სხვა დოკუმენტაცია, წარდგენილი ქართულ ენაზე; მათ შორის 2019 წლის იანვარშიმონიტორინგის ჯგუფმა დოკუემნტების შესწავლის საფუძველზე შეამოწმა მიმდინარე სიტუაცია, ხოო 2019 წლის მარტში განხორციელდა მისი განხილვა საბჭოს სხდომაზე.
- ექსპერტთა ჯგუფმა 2 დღის განმავლობაში (2019 წლის 20-21 ივნისი) იმუშავა ადგილზე ქუთაისში და გამართა 19 შეხვედრა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და თანამშრომლებთან; 19 შეხვედრიდან წინასწარ დაგეგმილი იყო 18, მაგრამ იქ აღმოჩენილი სიტუაციიდან გამომდინარე, ინფორმციის სრულად მოპოვების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფმა მიზანშეწინილად მიიჩნია შეხვედრა გამართულიყო გ.ღავთასთან (ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილ რექტორი, დღეს იმავე უნივერსიტეტის პრორექტორი სტრატეგიული განვითარების მიმართულებით; ა.წერეთლის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი), რომელიც წინასწარ გაწერილ დღის წესრიგში არ იყო გათვალისწინებული.

1	შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან
2	შეხვედრა აკადემიურ საბჭოსთან
3	შეხვედრა წარმომადგენლობით საბჭოსთან
4	შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
5	შეხვედრა საშემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტის დეკანთან
6	შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან
7	შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
8	შეხვედრა სტუდენტებთან
9	შეხვედრა სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან
11	შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით პასუხისმგებელ პირ(ებ)თან, სასწავლო პროცესის კოორდინატორთან
12	შეხვედრა იურისტთან, საფინანსო სამსახურის წარმომადგენელთან და ბუღალტერთან

13	შეხვედრა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან, დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურთან
14	შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
15	შეხვედრა დამსაქმებლებთან
16	სასწავლო ფართის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება
17	ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება, რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების შესწავლა
18	ძირითადი მიგნებების გაცნობა უსდ-ს წარმომადგენლებისათვის
19	შეხვედრა ა.წერეთლის უნივერსიტეტის ა.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითრების პრორექტორთან, რომელიც იმავე უნვერსიტეტის ყოფილი რექტორა და ხარისხის სამსახურის უფროსთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქსკ-ს მიერ ავტორიზავიის პირობების შემოწმების შესახებ ორი მიმართულებით წარიმართა: 1. ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან და 2. წინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იიდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორების მხრივ.
მოსამზადებელ შეხვედრაზე ჯგუფის თავმჯდომარემ, თითოეული ჯგუფის წევრის კომპეტენციის გათვალისწინებით გადაანაწილა სტანდარტები და ქვესტანდარტების. თითოეულ სტანდარტზე დელეგირებულმა ექსპერტებმა დაამუშვეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია; მიღებული ინფორმაცია და მისი ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა გააზიარეს სამუშო ჯგუფის შიგნით. ექსპერტთა ყველა წევრი მუშობდა ერთ google drive დოკუმენტში, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციის მყისიერ გაცვლას და პერმანენტულ კონტაქტს. თავმჯდომარემ შეაჯერა ჯგუფის წევრების მოსაზრებები და ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებამდე კიდევ ერთელ გადაუგზავნა მათ. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა წინამდებარე ანგარიში, რომლის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

მუშაობის პროცესში ექსპერტებს მოუხდათ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა; კერძოდ

1. შენობის კუთვნილების დოკუმენტი
2. 2018 და 2019 წწ სახელფასო დანამატების შესახებ დოკუმენტაცია
3. ფაკულტეტის, აკადემიური საბჭოს ოქმები კურიკულუმში განხორცილებული ცვლილებების შესახებ
4. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი
5. კულტურის სამინისტროდან 2018 წლის 3 აგვისტოს წერილზე ბიუჯეტთან დაკავშირებით კულტურის პასუხი
6. აფილირების დოკუმენტი
7. ადმინისტრაციულ თნამდებობაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუემტნი

უნდა აღინიშნოს რომ ექსპერტთა ჯგუფს მოუწია მუშაობა კეთილგანწყობილ, თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში. დამატებით გამოთოვილი დოკუემენტები ოპერატიულად იყო წარმოდგენილი; თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ისინი სრულყოფილი იყო. ამასთან იქმნებოდა შთაბეჭდილება რომ დოკუემენტების უმრავლესობა, მათ შორსი ხარვეზების გამოსწორებაზე ორიენტირებული დოკუემენტებისა არსებობს პრინციპით „დოკუმენტი დოკუმენტისთვის“.
ადგილზე ვიზიტი აგრეთვე მოიცავდა მთელი შენობის დათვალიერებას.

ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სრულ შემადგენლობას მასპინძლობის, გულახდილი გარემოსა და კოლეგიალობისთვის. იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე ანგარიში დაეხმარება ქსკ განვითრებაში და ახალი ეტაპის (ა.წერეთლის სახელიბის უნივერსტეტის მიერ პროგრამის შეერთება) წარმატებით დაგვირგვინებაში, რომელიც კოლეჯთან დაკავშირებული თითოეული მიზნობრივი ჯგუფის მიერ ერთადერთ პერსპექტივად არის აღქმული.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ <u>შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში</u> შეფასების განხორციელების თარიღი: ___2019 წლის იანვარი	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2 - რეკომენდებულია დაიწეროს შესაბამისი დოკუმენტი საზოგადოებრივი კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ; - რეკომენდებულია ავტორიზაციისთვის შემუშავდეს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი	შექმნილია საზოგადობრივი კონტრიბუციის ამსახველი აქტივობების გეგმა; და აგრეთვე 7 წლიანი და 3 წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ამსახველი დოკემნტი, თუმცა გამოიკვეთ ჩვენი აზრით რამდენიმე სისტემური ხასიათის პრობლემა: 1. პერსონლთან შეხვედრებმა ვერ დაადასტურა იყო თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუემტნების შემუშავება კოლეგიალური მუშაობის შედეგი. აკადემიური საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მსგავსი დოუემენტაციის შესახებ. 2. სამოქმედო გეგმაში არ არის აღნიშნული პასუხისმგებელი პირები; და ბუნდოვანია მონიტორინგის ისეთი ვადები, როგროიცაა "მუდმივად", პერიოდულად, პერიოდულად და საჭიროებისამებრ; 3. ქსკ-ს მიერ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს სისტემური ხასიათი არ აქვს; ის შემოიფარგლება უფრო შემოქმედებითი აქტივობის მონიტორინგით (კონცერტები როგროც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსოალის, კლასის კონცერტები, კვლევა), მაგრამ რეაგირების რა ფორმებს მიმართავს კოლეჯი მონიტორინგის შედეგებზე უცნობია. 3. სატრატეგიული გეგმა და ბიუჯეტი თანხვედრაში არ არის ერთმანეთთან
2.1. ● რეკომენდებულია განისაზღვროს კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და/ან პროცედურა ● რეკომენდებულია მოხდეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა ● რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ ადამიანზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად; ● რეკომენდებულია შემუშავდეს	ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ორგანიზაციულ სტრუქტურისა და მართვაში შეტანილია ცვლილება (არჩევის-დანიშვნის წესი) აკადემიურ თნამდებობაზე არჩევის წესი განსაზღვრულია, მაგრამ დაწესებულებას არ აქვს ადმინსიტრაციულ თნამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთ მიხედვითაც განხორვციელდებოდა დანიშნვნა; ● საქმის წარმოების ელ სისტემა ქსკ-ში არ არსბობს ● ქსკ-ში ბრძანებით განისაზღვრა ინტერნაციონალიზაციაზე პასუხისმგებელი პირი,

შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში.	თუმცა ის საზოგადოებრივ საწყისებზე მუშობს; საკვალიფიკაციო მოთოვენბის არ არსებობა, ხშირ შემთვევაში ინტერნაციონალიზაციის ვიწრო გააზრება ბუნდოვანს ხდის კოლეჯის სტრატეგიული გეგმაში მის წარმატებით განხორციელბას; ● შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში არ არის გათვალსიწინებული. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია რომ ასეთ მოკლე დროში მსგავსი რეკომენდაციის გათვალსიწინება არარეალისტურია ● **რ**ეკომენდებულია შემუშავდეს სამუსიკო კოლეჯის თანამედროვე მართვის და მენეჯმენტის პოლიტიკა; ● რეკომენდებულია შემუშავდეს საპროექტო ფორმატებში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან დამატებითი საპროექტო ინიციატივებს განხორციელების შესაძლებლობა; ინტერნაციონალიზაცია: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მისიისა და მიზნების მისაღწევად, კოლეჯის მმართველობა უნდა იყოს უფრო აქტიური შემდგომი ასპექტების მხარდაჭერაში: ა) აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; ბ) საგანმანათლებლო/შემოქმედებითი პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, გ) რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულ ებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ პროფესიუნალ პიროვნებაზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა ორგანიზაციის მისიაში არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად; დ)თანამედროვე უცხოური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა; ე) რელევანტურ უმაღლესებთან აქტიური თანამშრომლობა როგროც ეროვნულ ისე საერთშორისო დონეზე
2.2. ● რეკომენდებულია კოლეჯის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასების მეთოდის დახვეწა, ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით; ● რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და	● რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა, კითხარების შედეგების შეფასება და მასზე რეაგირება ყველა დონეზე კოლეჯის სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით; ● რეკომედებულია ხარისხის შეფასების

ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი.	მექანიზმებში კოლეჯის ყველა რგოლის მონაწილეობა,რაც დეკლარირებული აქვს კოლეჯს.
2.3. ● რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობაზე და წახალისებაზეა მიმართული. ● რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს აკადემიური სერვისები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, რომელიც მიმართული იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისკენ.	● რეკომენდებულია სტუდენტებისთვის კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ახსნა და მათი ჩართვა შესაბამის პროცესებში; ● რეკომენდებულია, გარდა არსებული პროცედურებისა, დამატებითი დოკუმენტის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ აკადემიური ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ, არამედ სხვა დანარჩენი პრობლემების მოგვარების გზებიც; - რეკომედებულია დაინერგოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა, სადაც დოკუმენტალურად დაფიქსირდება ყველა განცხადება და მათზე განხორციელებული რეაგიება.
3.2.რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების განახლება-გადახალისება თანამედროვე მოთხოვნების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით	საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები განახლებულია, მაგრამ მოითხოვს სერიოზულ შესწორებების შეტანას. რეკომენდებულია ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს ინდივიდუალური სილაბუსი, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი კურსის მიზნები, და რომლებიც შესაბამისობაში იქნება მოცემულ სასწავლო ლიტერატურასთან. ასევე რეკომენდებულია შეფასების კრიტერიუმებში შესწორების შეტანა
3.3. რკომენდებულია შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად	რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული რეკომენდებულია თავიდან გადაიხედოს შეფასების სისტემა და დებულების მოთხოვნის თანახმად გადანაწილდეს ქულები საგამოცდო და შუალედურ შეფასებაში
4.1. რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი; ▪ რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს თავისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; ▪ რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალი / ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია; ▪ რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს პროფესიონალ/ებ/ი, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად; ▪ კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის	მოცემული რეკომენდაციები ვერ და არ არისს გათვალსიწინებული ქსკ-ს მიერ: პროფესიული განვითრების, კადრების მოზიდვის, კმაყოფილების კვლევის, და მექანიზმების შემქნის მიმართუჯელბით. ● რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს საკუთარი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; დაწესდეს და მოხდეს საშემსრულებლო, პედაგოგიური, მეთოდოლოგიური, კვლევითი უნარების ტრენინგის მხარდაჭერა; ● რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე წასვლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე; მონიტორინგის შედეგად ქუთაისის სამუსიკო

მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები.	კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის მიმართულებით აღნიშნული რეკომენდაციების მცირე დროში გათვალისწინება ნაკლებად რეალისტურია.
4.2. რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესორთან დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები	მონიტორინგის შედეგად ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების გადახედვას საჭიროებს. აღნიშნულიროკომენდაციები არ არის გათვალსიწინებული
5.1. რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები. ▯ რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ჩატარების და შედეგებზე რეაგირების მექანიზმი.	● კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები სისტემურად. ● დაინერგოს/განვითარდეს საქმის წარმოება განცხადების საფუძველზე ● დაიხვეწოს და პერიოდულად ჩატარდეს შიდა გამოკითხვები, რომლებიც უკეთესად ასახავს რეალურ მდგომარეობას. გაანალიზდეს და მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება. ● გამოსწორდეს ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარვეზები ● გაიზარდოს სტუდენტის ჩართულობა სასწავლო პროცესების ცვლილება/მართვაში.
5.2. რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა დანერგოს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები; ▯ რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა სტუდენტები უზრუნველყოს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებით; ▯ რეკომენდებულია, კოლეჯმა გაასაჯაროვოს ინფორმაცია სტიპენდიებისა და სხვა ფინანსური დახმარებების შესაძლებლობის შესახებ.	● ინტერნაციონალზიაციის პოლიტიკის ამსახველი შემქნილია, მაგრამ ის თანხვედრაში არ არის სტრატეგიული განვითრების გეგმასა და ბიუჯეტთან ● არ არის გათვალსიწინებული კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების რეკომენდაცია ● დაფინანსდეს სტუდენტების ინიცატივები კოლეჯის მხრიდან, შესაბამისად ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა მხარდაჭერის ღონიძიებები ● კოლეჯმა იზრუნოს დამატებითი თანხების/დაფინანსების მოძიებაზე ● დაიხვეწოს გამოკითხვა ● რეკომენდირებულია კოლეჯს ჰყავდეს სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი

6.1. რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს სწავლების, საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობისა და ეკონომიკის ინტეგრაციაზე, და ამ მიზნით ითანამშრომლოს ეკონომიკურ აგენტებთან და ხელი შეუწყოს ინოვაციურ განვითარებას;
  რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული პროფესორის ფუნქციები სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში და ასევე შემაჯამებელი კონცერტისთვის მზადების პროცესში; ასევე განისაზღვროს, რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია თითო პროფესორს;
  რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს იმაზე, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვით უზრუნველყოფილი იყოს სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტიანი და ხარისხიანი ხელმძღვანელობა და ინდივიდუალურად ან გუნდურად განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხი (ე.ი. სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა უნდა აისახოს აკადემიური პერსონალის დატვირთვაში);
  რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს საანგარიშო კონცერტების შეფასების წესი და განახორციელოს საანგარიშო კონცერტების წარმატებით ჩატარების მაჩვენებელთა ანალიზი.
	● რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ ხერხდება, გაურკვეველია რა სახის საქმიანობას ეწევა კოლეჯი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. რეკომენდებულია მეტი ინტეგრირება საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მათი გამოცდილების გამოყენების მიზნით.
	
	● გათვალსიწინებულია პროფესორის ფუნქციები სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში თუმცა, რეკომენდებულია შესაბამისი რეგულაციების დამკვიდრება დოკუმენტის სახით რაც გაუადვილებს პროფესორსა და სტუდენტს სწავლის პროცესის წარმართვას.
	
	● რეკომენდაციის გათვალისწინებას კოლეჯი მომავალ სასწავლო წლიდან აპირებს, თუმცა რა სახით ამის სამოქმედო გეგმის წარმოდგენა ჯერ ვერ შეძლო.
	
	● ქსკ ახორციელბს საანგარიშო კონცერტების შეფასებას, მაგრამ არ მოიპოვება მათი წარმატებით ჩატარების მაჩვენებელთა ანალიზი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად არ არსებობს კონცერტების წარმატებით ჩატარების უნიფიცირებული კრიტერიუმები, განსაკუთღებით მაშინ როცა საქმე ეხება კოლექტიურ/ჯგუფურ/კლასის კონცერტებს)

6.2. რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი და საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რაც უნდა აისახოს მის ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმაში;
  რეკომენდებულია ქსკ-მა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით / საშემსრულებლო საქმიანობისთვის და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებას და ამ მიზნით გაუწიოს მას კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით;
  რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის სისტემა და მხარი დაუჭიროს სტუდენტთა სახელოვნებო-შემოქმედებით ინიციატივებს;
  ქსკ-მა უნდა იზრუნოს ინსტიტუციური თანამშრომლობის დამყარებაზე უცხოელ პარტნიორებსა და საერთაშორისო შემოქმედებით
	● რეკომენდაცია შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმის თაობაზე არ არის გათვალისწინებული
	
	● რეკომენდაცია წახალისების მექანიზმების შესახებ ასევე არ და ვერ არის შესრულებული. არც ახალგზარდა კადრების მოზიდვის შესახებ გაცემული არ რეკომენდაცია არ და ვერ არის შესრულებული
	
	● ახალი პარტნიორების მოძებისა და კონმტაქტების დამყარების მიმართუჯელბით რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული.
	
	● რეკომენდებულია ინსტიტუციური პარტნიორობის დამყარება არა საფესტივალო არამედ გაცვლითი პროგრამების მექანიზმის ამუშავებით

ცენტრებთან, ერთობლივი სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაზე, ასევე უცხოელი პროფესორების მონაწილეობაზე კოლეჯის სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში.	
6.3. რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი; ▯ რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.	● რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ, სასურველი იქნებოდა შეფასების და ანალიზის ფორმის შექმნა. ● რეკომენდაციის გათვალისწინება იგეგმება მომავალი სემესტრიდან, მაგრამ სამოქმედო გეგმა არ არის წარმოდგენილი.
7.1. რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში თავისუფლად გადაადგილებისთვის	ქსკ-ს გათვალისწინებული აქვს რეკომენდაცია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში გადაადგილების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვიზუალური დათავლიერების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯის ინფრანტრუქტურა არ არის სრულყოფილად ადაპტირებული შშმ პირებისთვის, და საჭიროებს გაუმჯობესებას ამ კუთხით. ● რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია, რათა მოხდეს კოლეჯის შენობა-ნაგებობის სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და რეკონსტრუქცია; ● რეკომენდირებულია კოლეჯში ცენტრალური გათბობის სისტემის, კონდიცირების დამონტაჟება; წყალგამყვანი სისტემების მოწესრიგება, რათა კოლეჯის სანიტარულ კვანძებში დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები; ● რეკომენდირებულია კოლეჯში შემოქმედებითი, საშემსრულებლო საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მოხდეს მუსიკალური ინსტრუმენტების ბაზის განახლება, რესტავრაცია; მოხდეს ბიბლიოთეკის, ფონოტეკის, საკონცერტო დარბაზის და აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვა;
7.2.რეკომენდებულია ელექტრონული კატალოგის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (შესაძლებელია უფასო ვერსიების გამოყენება); ● რეკომენდებულია სამენციერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის ღია წვდომის ბაზები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე); ● რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების გაზრდა და სტანდართან შესაბამისოაში მოყვანა. ● რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდებისა და სერვისების განახლების მიექანიზმების ჩამოყალიბება/გაწერა	● შემუშავდეს ბიბლიოთეკის განვითარების პოლიტიკა ● შეივსოს და განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა და საჭირო ინფრასტრუქტურა ● დაინერგოს ელექტრონული დაჯავშნის სისტემა ● ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა

● რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდის განახლება დარგში არსებული აქტუალური რესურსებით (ყოველწლიური გეგმის არსებობა) ● რეკომენდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა/ ხელშეწყობა	
7.3 რეკომენდებულია კოლეჯის ინფორმაციული პოლიტიკის წესში მოხდეს შესაძლო რისკების მართვის გათვალისწინება; ● რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას.	●არ ითვალისწინებს რისკების ადეკვატურ და ეფექტიან მართვას და არ ხდება საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობის შეფასება. კომპიუტერული ტექნიკა მათ შორის კომპიუტერები, პროექტორი, ქსეროქსის აპარატი, თანაბრად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. - რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას. ● საჭიროა განახლდეს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა
7.4. რეკომენდებულია კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას; **● რეკომენდებულია განსაზღვრული პერიოდულობის ფარგლებში ფინანსური აუდიტის ჩატარება**	ქსკ-ს გათვალისწინებული აქვს რეკომენდაცია განსაზღვრული პერიოდულობის ფარგლებში ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ. რექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუმ და წარმოადგენილმა დოკუმენტაციამ დაადასტურა, რომ ყოველწლიურად კოლეჯის ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზნით ტარდება კერძო აუდიტის შემოწმება. რაც შეეხება რეკომენდაციას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებასთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული, რადგან აღნიშნული რეკომენდაციის მცირე დროში გათვალისწინება არარეალისტურია. ● რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ სამთავრობო უწყებებთან ერთად შეიმუშავოს სტრატეგია, რათა შემუშავდეს ბიუჯეტის ზრდის მექნიზმი, რომლებიც უზრუნველყოფს კოლეჯისათვის შემოქმედებითი, საშემსრულებლო და საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას; ● რეკომენდირებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, კვლევის არსებობის ხელშეწყობა, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსებობის ხელშეწყობა,

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა რეკომენდაციები

უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია

მისია გაზიარებული უნდა იყოს კოლეჯის სამიზნე ჯგუფების მიერ

1.2 სტრატეგიული განვითარება

-გაზიარებული იყოს სტრატეგიული გეგმა კოლეჯის სამიზნე ჯგუფების მიერ

-სატრატეგიული გეგმა და ბიუჯეტი თანხვედრაში იყოს მოყვანილი

-გამოიკვეთოს პასუხისმგებელი პირები და კონკრეტული ვადები სამოქმედო გეგმაში

- შემუშავდეს რეაგირების ფორმები მონიტორინგის შედეგებზე

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- რეკომენდებულია შემუშავდეს სამუსიკო კოლეჯის თანამედროვე მართვის და მენეჯმენტის პოლიტიკა;

- რეკომენდებულია შემუშავდეს საპროექტო ფორმატებში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან დამატებითი საპროექტო ინიციატივებს განხორციელების შესაძლებლობა;

- რეკომენდებულია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა;

- რეკომენდებულია შემუშავდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში;

- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მისიისა და მიზნების მისაღწევად, კოლეჯის მმართველობა უნდა იყოს უფრო აქტიური შემდგომი ასპექტების მხარდაჭერაში:

- აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;

- საგანმანათლებლო/შემოქმედებითი პროგრამების ინტერნაციონალიზაცია,

- რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ პროფესიუნალ პიროვნებაზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა ორგანიზაციის მისიაში არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად;

- თანამედროვე უცხოური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა;

- რელევანტურ უმაღლესებთან აქტიური თანამშრომლობა როგროც ეროვნულ ისე საერთშორისო დონეზე

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

-რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა, კითხვარების შედეგების შეფასება და მასზე რეაგირება ყველა დონეზე კოლეჯის სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით;

- რეკომედებულია ხარისხის შეფასების მექანიზმებში კოლეჯის ყველა რგოლის მონაწილეობა,რაც დეკლარირებული აქვს კოლეჯს.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ახსნა და მათი ჩართვა შესაბამის პროცესებში;

- რეკომენდებულია, გარდა არსებული პროცედურებისა, დამატებითი დოკუმენტის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება, არა მხოლოდ აკადემიური ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ, არამედ სხვა დანარჩენი პრობლემების მოგვარების გზებიც;

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- რეკომენდებულია წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გათვალისწინებული პროცედურები თანხვედრაში იყოს ყველა შესაბამის დოკუმენტურ მასალასთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სილაბუსები უნდა იყოს შესაბამისობაში სასწავლო პროგრამასთან. ამასთანავე უნდა იყოს სრულფასოვანი, რაც გულისხმობს ყველა კურსის ინდივიდუალურ სილაბუსს.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

- აუციებელია **შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად**

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს საკუთარი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; დაწესდეს და მოხდეს საშემსრულებლო, პედაგოგიური, მეთოდოლოგიური, კვლევითი უნარების ტრენინგის მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო სფეროში თანამედროვე სტანდარტების შესახებ ინფორმირება, მოხდეს მათი კვლევით და სახელოვნებო სფეროში ჩართულობა;

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი;

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია; დაინერგოს ხელმძღვანელთა ტრეინინგი ახალგაზრდა კადრების რაოდენობის გასაზრდელად, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტთა ხელმძღვანელობის მოცულობაც;

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე წასვლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე;

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს დარგის პროფესიონალები, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად; კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები;

- რეკომენდირებულია რეკრუტირების სტრატეგიის განვითარება ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი ნიჭიერი ინდივიდების, რაოდენობის გასაზრდელად.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- რეკომენდირებულია გადაიხედოს დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები სისტემურად.
- დაინერგოს/განვითარდეს საქმის წარმოება განცხადების საფუძველზე
- დაიხვეწოს და პერიოდულად ჩატარდეს შიდა გამოკითხვები, რომლებიც უკეთესად ასახავს რეალურ მდგომარეობას. გაანალიზდეს და მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.
- გამოსწორდეს ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარვეზები
- გაიზარდოს სტუდენტის ჩართულობა სასწავლო პროცესების ცვლილება/მართვაში.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- დაიხვეწოს და განვითარდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, როგორც საშემსრულებლო ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით
- შემუშავდეს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა
- დაფინანსდეს სტუდენტების ინიციატივები კოლეჯის მხრიდან, შესაბამისად ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა მხარდაჭერის ღონიძიებები
- კოლეჯმა იზრუნოს დამატებითი თანხების/დაფინანსების მოძიებაზე
- დაიხვეწოს გამოკითხვა
- რეკომენდირებულია კოლეჯს ჰყავდეს სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი

კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

- შეიქმნას სახელოვნება -შემოქმედებითი პროექტების ეფექტურად და ხარისხიანად მოქმედების გეგმა.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- შეიქმნას სამოქმედო გეგმა კვლევისა და ინტერნაციონალზიაციის განვითრებისათვის

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;

- რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი

-რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია, რათა მოხდეს კოლეჯის შენობა-ნაგებობის სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და რეკონსტრუქცია;

-რეკომენდირებულია კოლეჯში ცენტრალური გათბობის სისტემის, კონდიცირების დამონტაჟება; წყალგამყვანი სისტემების მოწესრიგება, რათა კოლეჯის სანიტარულ კვანძებში დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები;

-რეკომენდირებულია კოლეჯში შემოქმედებითი, საშემსრულებლო საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მოხდეს მუსიკალური ინსტრუმენტების ბაზის განახლება, რესტავრაცია; მოხდეს ბიბლიოთეკის, ფონოტეკის, საკონცერტო დარბაზის და აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვა;

-რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში უფრო მეტად თავისუფლად გადაადგილებისთვის.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

- შემუშავდეს ბიბლიოთეკის განვითარების პოლიტიკა

- შეივსოს და განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა და საჭირო ინფრასტრუქტურა

- დაინერგოს ელექტრონული დაჯავშნის სისტემა

- ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა

7.3 საინფორმაციო რესურსი

- რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას.

- საჭიროა განახლდეს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა

7.4 ფინანსური რესურსი

-რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია, რათა შემუშავდეს ბიუჯეტის ზრდის მექნიზმი, რომლებიც უზრუნველყოფს კოლეჯისათვის შემოქმედებითი, საშემსრულებლო და საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას;

-რეკომენდირებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემენა/განახლება, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, კვლევის არსებობის ხელშეწყობა, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსებობის ხელშეწყობა,

რჩევები

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

კარგი იქნება, თუ უსდ დახვეწავს პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლოს მეთოდებს მიუხედავად საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებისა.

4.1. პერსონალის მართვა

- სასურველია ტოპ მენეჯმენტის და ადმინისტრაციული სამსახურების მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილება კვლევის კომპონენტზე;

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- სტუდენტურმა თვითმმართველობამ და ადმინისტრაციამ პერიოდულად (მაგ. სასწავლო წლის დასაწყისში) გააცნონ სტუდენტებს ინფორმაცია იმ ორგანოებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ, სადაც მათ აქვთ საშუალება დაიცვან საკუთარი ინტერესები, უფლებები და წარადგინონ სურვილები (წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოები, სტუდენტური თვითმმართველობა)

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- ბიუჯეტში განისაზღვროს დაახლოებითი თანხა, რომლის ათვისების საშუალებაც ექნებათ სტუდენტებს

7.4. ფინანსური რესურსი

- სასურველია სტუდენტთა თვითმართბელობისთვის მეტი ავტონომიის მისანიჭებლად და მათი მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განსახორციელებლად მიზანშეწონილია თვითმართველობის ფინანსური ბიუჯეტის განაწილების დეცენტრალიზაცია.
- სასურველია კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას;

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☒	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☒	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☒	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☒	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☒
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☒
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნანა შარიქაძე (თავმჯდომარე)
2. ნათია ბურჯანაძე (წევრი)
3. ქეთევან შენგელია (წევრი)
4. სოფიო საღარაძე (სტუდენტის კვოტით)
5. თამარ მიქაძე (დამსაქმებლის კვოტით)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარდგენილი მისია ასახავს დაწესებულების შემოქმედებით როლს და ადგილს რეგიონულ დონეზე და მის წვლილს საზოგადოებაში; ასევე განსაზღვრავს კოლეჯის ძირითად საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებებს. სწორედ ამიტომაც წინა მონიტორინგის ჯგუფს არც აქვს რეკომენდაცია აღნიშნული სტანდარტის მიმართ და მას სრულად შესაბამისად აფასებს, თუმცა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე რექტორთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ მისიის შემუშავებაში მხოლოდ რექტორი და ადმინისტრაციის უფროსი იყვნენ ჩართული. გასაუბრებამ აჩვენა, რომ ქსკ კოლექტივი და სტუდენტები არ იცნობდნენ მისიას და მის ძირითად პოსტულატებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). 1. დოკუმენტი კოლეჯის მისია

2. ვებგვერდი http://kutmuscollege.edu.ge/misia.html (ქართულენოვანი)

http://kutmuscollege.edu.ge/misia-eng.html (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები:

1. მისია გაზიარებული უნდა იყოს კოლეჯის სამიზნე ჯგუფების მიერ

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქსკ აქვს სტრატეგიული განვითარების, როგროც 7 ისე 3 წლიანი სამოქმედო გეგმა.

თებერვალში ჩატარებული მონიტორინგის ჯგუფის მეირ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, ქსკ-მ გამოვლენილი ორივე ხარვეზი გამოასწორა და შექმნა:

1. საზოგადოებრივი კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაწესებულების მიერ საზოგადოების განვითრებაშ შეტანილ წვლილს
2. შეიმუშავა 7-წლიანი და 3-წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და შექმნა შესაბამისი დოკუმენტი

7 და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები რექტორის მიერ არის შემუშავებული და ინტერვიუებით არ დასტურდება მასში აკადემიური პერსონალის თანამონაწილეობა. ქსკ კოლექტივი და სტუდენტები, აგრეთვე დამსაქმებლები არ იცნობდენ დაწესებულების განვითრების სტრატეგიას; ამასთან წარმოდგენილი 3 დოკუმენტი, მისია, სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, თანხვედრაში არ არის ერთმანეთთან. ბუნდოვანია, როგორ აპირებს დაწესებულება სამოქმედო გეგმის რეალიზებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაწერილია 7 წლიანი და 3 წლიანი გეგმისთვის განსახორციელებელი საქმიანობა და მითითებულია ვადები, პერსონალთან შეხვედრებით ვერ დაადასტურა, იყო თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების შემუშავება გუნდური, კოლეგიალური მუშაობის შედეგი. აკადემიური საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მსგავსი დოკუმენტაციის შესახებ. ამასთან არ არის აღნიშნული, თუ ვინ არის პასუხისმგებელი პირი; მთელ რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია მონიტორინგის ისეთი ვადები, როგორიცაა მუდმივად, პერიოდულად, პერიოდულად და საჭიროებისამებრ

ქსკ-ს მიერ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს სისტემური ხასიათი არ აქვს; ის შემოიფარგლება უფრო შემოქმედებითი აქტივობის მონიტორინგით (კონცერტები, როგროც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის, კლასის კონცერტები, კვლევა), მაგრამ რეაგირების რა ფორმებს მიმართავს კოლეჯი მონიტორინგის შედეგებზე უცნობია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).

-სტრატეგიული გეგმა 2017-2020

-სტრატეგია 3 წელი

-2018 სამოქმედო გეგმა

-2018 წლის გეგმა-გრაფიკი

-საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ანგარიში 2018 წლის I, II და III კვარტლებში გაწეული სასწავლო-საშემსრულებლო-შემოქმედებითი, სამეცნიერო–მეთოდური და ორგანიზაციული საქმიანობის თაობაზე

-სსიპ-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის როლის განსაზღვრა საზოგადოებრივი განვითარების კონტრიბუციაში

-კოლეჯის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა

-საშემსრულებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2017-2020)

- სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

- გაზიარებული იყოს სტრატეგიული გეგმა კოლეჯის სამიზნე ჯგუფების მიერ
- სატრატეგიული გეგმა და ბიუჯეტი თანხვედრაში იყოს მოყვანილი
- გამოიკვეთოს პასუხისმგებელი პირები და კონკრეტული ვადები სამოქმედო გეგმაში
- შემუშავდეს რეაგირების ფორმები მონიტორინგის შედეგებზე

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამუსიკო კოლეჯი. კოლეჯის მისიის, ამოცანებისა და მიზნების განხორციელებაში ჩართულია ორგანიზაციის ყველა რგოლი: აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის სამსახური, სასწავლო დამხმარე პერსონალი, ბიბლიოთეკა.

კოლეჯის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. კოლეჯში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით კონკურსს აცხადებს აკადემიური საბჭო. კონკურსი ცხადდება საჯაროდ, განაცხადის მიღებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე.

კოლეჯის ფუნქციები და ორგანიზაციული სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება კოლეჯის წესდებასა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეგულაციებს.

აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კოლეჯის განათლებისა მიმართულებებთან დაკავშირებით და აკონტროლებს უნივერსიტეტის რექტორის მუშაობას და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მართვას.

აკადემიური საბჭო წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პერიოდულად ამტკიცებს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ პროგრამებს, შეიმუშავებს მართვის პოლიტიკას და ასევე პერიოდულად ისმენს ანგარიშებს მათი მუშაობის შესახებ, აფასებს მას და გასცემს რეკომენდაციებს სამომავლო განვითარებისთვის, თუმცა ინტერვიუების შედეგად ეს ცვლილბეები ვერ დადასტურდა

წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეჯის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისმენს ადმინისტრაციის ანგარიშს განხორციელებული აქტივობების შესახებ. ამ დროისთვის კოლეჯის წარმომადგენლობით საბჭოში არჩეულია 6 წევრი, მათ შორის 2 სტუდენტი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეც საბჭოს წევრია.

კოლეჯის უფლებამოსილების დელეგირების დოკუმენტის თანახმად, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხსიმგებლობები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მონიტორინგის პირობებში და პირად ინტერვიუებში ვერ დგინდება, თუ რამდენად შეუძლია ქსკ-ის ამჟამინდელ ორგანიზაციულ სტრუქტურას სტრატეგიული გეგმაში და სამუსიკო კოლეჯის მისიაში გაწერილი საქმიანობის განხორციელება.

მონიტორინგის შედეგად ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვაში გამოიკვეთა მთელი რიგი ხარვეზები:

კოლეჯში არ არის დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, კოლეჯში არ არსებობს საქმისწარმოების უწყვეტობის გეგმა, რისი არსებობაც საჭიროა ყველა შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით.

კოლეჯს ამ ეტაპზე არ გააჩნია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, კოლეჯის არსებობის არც ერთ ეტაპზე არ განუხორციელებია გაცვლითი პროგრამა არცერთ ევროპულ სახელოვნებო სასწავლებელთან. პიროვნება, რომელიც ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არის დოკუმენტაციაში მოხსენიებული, ვიზიტის დროს შედგა მასთან გასაუბრება, ვერ აკმაყოფილებს საჭირო კომპეტენციას და ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს. ინტერვიუს პროცესში საუბარი იყო უცხოეთში მხოლოდ ერთჯერად საკონცერტო ვიზიტებზე, მასტერკლასებზე, მასტერკლასებზე, რაც ცხადია ვერ აკმაყოფილებს არ ჯდება ინტერნაციონალიზაციის პილიტიკას. ამ ეტაოზე საერთშორისო ურთეირთოებათა მიმართულებით ქსკ-მ ბრძენბით დელეგირეა გააკეთა ერთ ადამიანზე, როემლიც ამ საქმიანობაში ხელფასს არ იღებს. ამასსთან არ არსებობს ამ საქმიანობისთვის აუცილებელია კომპეტენციათა ამსახველი დოკუმენტი. კოლეჯს არ გააჩნია სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული, ისეთი, როგორიცაა საგარეო ურთიერთობების ან განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტრატეგიული სამოქმედო გეგმის რეალიზებას, აგრეთვე

დაეხმარებოდა აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტების განსახორციელებლად, უცხოურ უნივერსიტეტებთან, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და საგანმანთლებლო ცენტრებთან ურთიერთობების დამყარებაზე და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებაში. კოლეჯს არ გააჩნია სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული, ისეთი, როგორიცაა საგარეო ურთიერთობების ან განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერბაციონალზიაციის მიმართულებით გეგმების რეალიზებას, აგრეთვე დაეხმარებოდა აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტების განსახორციელებლად, უცხოურ უნივერსიტეტებთან, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და საგანამანთლებლო ცენტრებთან ურთიერთობების დამყარებაზე და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებაში.

მონიტორინგის შედეგად ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის მიმართულებით აღნიშნული რეკომენდაციების მცირე დროში გათვალისწინება ნაკლებად რეალისტურია. აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს ანაზღაურებით და საჭირო საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციების დაკმაყოფილებით, იმისათვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულება.

საჭიროა შემუშავდეს შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, რათა გამართლდეს სტრატეგიული გეგმის სიცხადე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოკუმენტი „კოლეჯის მისია“
- კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი
- კოლეჯში უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და ანგარიშვალდებულების წესი
- 2017-2018 წელს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი
- საქმისწარმოების ინსტრუქცია
- კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/misia.html)
- დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და საჭირო ინფორმაციის მომარაგებას სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით;
- სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია შემუშავდეს სამუსიკო კოლეჯის თანამედროვე მართვის და მენეჯმენტის პოლიტიკა;

- რეკომენდებულია შემუშავდეს საპროექტო ფორმატებში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან დამატებითი საპროექტო ინიციატივებს განხორციელების შესაძლებლობა;
- რეკომენდებულია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია შემუშავდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში;

ინტერნაციონალიზაცია: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მისიისა და მიზნების მისაღწევად, კოლეჯის მმართველობა უნდა იყოს უფრო აქტიური შემდგომი ასპექტების მხარდაჭერაში:

ა) აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;

ბ) საგანმანათლებლო/შემოქმედებითი პროგრამების ინტერნაციონალიზაცია,

გ) რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ პროფესიუნალ პიროვნებაზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა ორგანიზაციის მისიაში არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად;

დ) თანამედროვე უცხოური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა;

ე) რელევანტურ უმაღლესებთან აქტიური თანამშრომლობა როგროც ეროვნულ ისე საერთშორისო დონეზე

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში მოქმედებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შეფასების მექანიზმი (დამტკიცებულია 2017 წლის 6 თებერვლის აკამიური საბჭოს გადაწყვეტილებით),რომელიც გულისხმობს შემდეგ პრინციპს:"დაგეგემე,განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". პრინციპის თანახმად, კოლეჯში ხორციელდება საგანამათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსის შიდა და გარე შეფასება და პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების (კურსდამთარებულები,დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი) აზრისა და დამოკიდებულებების კვლევა. დოკუმენტის მიხედვით თავდაპირველად იგეგმება განსახორციელებელი სამუშაო, განისაზღვრება საქმინოაბის ასპექტები; შემდეგ ხორციელდება დაგეგმილი სამუშაო წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ამის შემდეგ კი ერთვება შეფასების მექანიზმები, ბოლოს ჯამდება შედეგები და განისაზღვრება ნაკლოვანებები. კოლეჯის დებულების მიხედვით ამ პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისსხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აერთიანებს სამსახურის ხელმძღვანელსა და სასწავლო პორცესის კოორდინატორს. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შეფასების დოკუმენტით დგინდება, რომ შიდა ხარისხის გაუმჯობესებაში ჩართულია კოლეჯის ყველა რგოლი, რაც არ დადასტურდა ინტერვიუების დროს. კოლეჯში პროგრამას და მის მიმართულებებს ყავს ხელმძღვანელები, რომლებიც არ ფლობენ ინფორმაციას პროგრამაში განხორციელებული თუ განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. პროგრამას არ ჰყავს სამუშო ჯგუფი. აკადემიური საბჭოს წარმომადგენლები არ ფლობენ ინფორმაციას, როდის ან რა სახით მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში ბოლოს ცვლილება და განიხილა თუ არა ის აკადემიურმა საბჭომ. ინფორმაციას პროგრამის შინაარსის შესახებ არ ფლობს არც ფაკულტეტის დეკანი. დეკანი ასევე ვერ ასახელებებს პირს, რომელზეც მისი არ ყოფნის დროს დელეგირდება დეკანის უფლებები (დოკუმენტალურად მის მოვალეობას ასრულებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი). ქუთაისის კოლეჯის მიერ დამატებით წარმოდგენილი კითხვარები, რომლებიც აფასებს, როგორც სასწავლო პროცესებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს და მატერიალურ რესურსს, არ არის შეჯამებული,

გაანალიზებული და შესაბამისად არ ჩანს შემდგომში რა ნაბიჯები მოჰყვა კვლევას, გაითვალისწინეს თუ არა კვლევის შედეგები პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსის ხარისხის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება კურსდამთარებულების კვლევას, კოლეჯმა წარმოადგინა დამადასტურებელი კითხვარი, რითაც დასტურდება, რომ კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების განვითარებაში, თუმცა ეს ზემოთქმული არ დასტურდება ინტერვიუებით. კურსდათავრებულებმა ვერ გაიხსენეს ვინაა მათ შორის სამუშაო ჯგუფის წევრი, როდის მოხდა მათთან კომუნიკაცია პროგრამის შინაარსზე და რა აზრი დააფიქსირეს მათ. იგივე შეიძლება ითქვას დამსაქმებლებზეც. უსდ-მ წარმოადგინა დამსაქმებელების კვლევაც, თუმცა დამსაქმებელთან ინტერვიუების დროს არ დადასტურდა, რომ ისინი შინაარსობრივი კუთხით ჩართულები არიან პროგრამის შემუშავებისა და განვითარების საკითხებში. მათ ინტერვიუს დროს გაიხსენეს მხოლოდ ის შეკრება, როცა საჭირო გახდა აზრის დაფიქსირება აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში კოლეჯის პროგრამის გადასვლასთან დაკავშირებით. ეჭვს ბადებს ის ფაქტიც, რომ პროფესორების თვითშეფასების კითხვარის მიხედვით ყველა მათგანი (გამოკითხულთა 100 %) სილაბუსის მიხედვით ატარებს ლექციას, მაშინ როცა ინტერვიუს დროს თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ შეუძლებელია სილაბუსს მიჰყვე და არ გადაუხვიო მას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც სასწავლო პროგრამებს, ასევე შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებს (კითხვარებს/თვითსეფასების ანგარიშსს,რომელიც დამატებით გამოვითხოვეთ ვიზიტის დროს) ადგენს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და სხვა სტრუქტურული ერთეული ამ პროცესში ჩართული არ არის.

უდს-ს არ წარმოუდგენია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, თუმცა ინტერვიუს დროს სიტყვიერად მივიღეთ ინფორმაცია, რომ სასწავლო პროცესის კოორდინატორი სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას ასახავს ჟურნალებში და სტუდენტის არ გამოცხადების შემთხვევაში პირადად უკავშირდება მას ტელეფონით და არკვევს მიზეზებს.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და რეკომენდაციის საფუძველზე მზადაა აითვისოს მაქსიმალური ქვოტა და დაიმატოს ახალი ადმინისტრაციული კადრი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისიწნებული იქნება 2020 წლის ბიუჯეტში.

უსდ-მ გაითვალისწინა წინა დასკვნის რეკომენდაცია და წამოადგინა კოლეჯის სტუდენტებისა და პროფესორების საშემსრულებლო საქმიანობის დამადასტურებელი აქტივობების ჩამონათვალი და სტუდენტების მხრიდან პროფესორების მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების კითხვარი (მოიცავს 2017-2019 სასწავლო წელს), თუმცა რთულია იმის მიხევედრა, გაანალიზდა თუ არა ისინი და მოყვა თუ არა შემდგომი ნაბიჯები კვლევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები
- კვლევისთვის საჭირო კითხვარები
- ხარისხის დებულება
- წინა საბჭოს დასკვნა
- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხები წინა დასკვნაზე
- სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა, კითხვარების შედეგების შეფასება და მასზე რეაგირება ყველა დონეზე კოლეჯის სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით;
- რეკომედებულია ხარისხის შეფასების მექანიზმებში კოლეჯის ყველა რგოლის მონაწილეობა,რაც დეკლარირებული აქვს კოლეჯს.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წლის 20 მარტის აკადემიურ სხდომაზე დამტკიცებული სტუდენტური ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი; ასევე 2013 წელს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუსიკო კოლეჯის ეთიკის კოდექსი და 2017 წელს რექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული კოლეჯის წესი პლაგიატის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციით ნათელი ხდება, რომ კოლეჯში არსებობს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვას. დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე - kutmuscollege.edu.ge. დოკუმენტებში გაწერილია ქცევის წესები, როგორც აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. აქვე გაწერილია მათი დარღვევის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები. კოლეჯს დეკლარირებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და თავისუფლების დაცვა; უსდ აცნობიერებს პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას,თუმცა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მეტად დასაცავად ახალი სერვისების შემუშევება არ განხორციელებულა და არც იგეგმება სამომავლოდ.

ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, კოლეჯის არსებობის მანძილზე არც აკადემიურ/მოწვეულ თუ ადმინიტრაციულ პერსონალისა და არც სტუდენტების მხრიდან არ დაფიქსირებულა ეთიკის ნორმების დარღვევის რაიმე ფაქტი, შესაბამისად მათი შემსწავლელი კომისიის შეკრების აუცილებლობაც არ დამდგარა. გარდა ამისა არ აღმოჩენილა არც პლაგიატის შემთხვევა და პლაგიატის წესით გათვალიწინებული სანქციებიც შესაბამისად არასდროს განხორციელებულა. უნდა ითქვას, რომ საშესრულებლო ხელოვნების პირობებში რთულია პლაგიატის დადგენა, მაგრამ პროგრამის თითქმის ყველა კურსის შეფასების კომპონენტად მითითებულია რეფერატი, რომელიც კარგი იქნებოდა თუ პლაგიატზე შემოწმდებოდა.

ვფიქრობთ ეჭვს ბადებს, თუნდაც მცირერიცხოვანი კონტიგენტის პირობებში, უსდ-ს არსებობის მანძილზე ეთიკის ნორმების დარღვევის არცერთი დაფიქსირებული შემთხვევა, რაც საფუძვლს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წესების არსებობა კოლეჯში არ არის ასეთ შემთხვევებზე რეაგირების გარანტი. გარდა ამისა სტუდენტებთან ინტერვიუებით არ დასტურდება, რომ ისინი იცნობენ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს და რაიმე სახით მონაწილეობას ღებულობენ გადაწყვეტილებების მიღებაში, რადგან არ არსებობს ამის საჭიროება. მათ არ ჰქონიათ საერთოდ არანაირი პრობლემა და შესაბამისად არ იცნობენ იმ გზას, რაც უნდა გაიაროს სტუდენტმა პრობლების აღმოჩენიდან მის მოგვარებამდე. ამას როგორც ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და ისევე სტუდენტები ხსნიან იმ გარემოებით, რომ ისინი არიან მცირე რაოდენობის და აქვთ ყოველდღიური შეხება ერთმანეთთან. კოლეჯში სუფევს ოჯახური გარემო და შესაბამისად არ სჭირდებათ ოფიციალურად მიმართვა ერთმანეთთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტური ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი;
- ეთიკის კოდექსი;
- პლაგიატის წესი;
- ვებ გვერდი kutmuscolegge.edu.ge

- ინტერვიუს შედეგები
- წინა დასკვნა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ახსნა და მათი ჩართვა შესაბამის პროცესებში;
- რეკომენდებულია, გარდა არსებული პროცედურებისა, დამატებითი დოკუმენტის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება, არა მხოლოდ აკადემიური ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ, არამედ სხვა დანარჩენი პრობლემების მოგვარების გზებიც;
- რეკომედებულია დაინერგოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა, სადაც დოკუმენტალურად დაფიქსირდება ყველა განცხადება და მათზე განხორციელებული რეაგიება.

რჩევები:

- კარგი იქნება, თუ უსდ დახვეწავს პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლოს მეთოდებს მიუხედავად საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებისა.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯმა წარადგინა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია მეტწილად რეგიონის მოთხოვნილებებზე და იყენებს საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება გახლავთ ურთიერთთანამშრომლობის პროცესი და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (პერსონალი/სტუდენტები,კურსდამთავრებულები/დამსაქმებელები/ პროფესიული ასოციაციები) , რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორინეტირებული, თანამედროვე საგანამათლებლო პროგრამის შექმნას. განხორციელებული ინტერვიუების დროს ზემოთქმული არ დადასტურდა, ვინაიდან ვერც პერსონალმა, ვერც სტუდენტებმა, ვერც კურსდამთავრებულებმა და ვერც დამსაქმებელებმა ვერ გაიხსენეს ის მომენტი, როცა მათ შეხვდნენ პროგრამის შინაარსის განსახილველად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან შეერთების საჭიროება დადგა. ამ შეხვედრაზეც უბრალოდ აცნობეს მათ, რომ იგეგმება პროცესი და ჰკითხეს აზრი. უსდ-ს არ წამოუდგენია შრომის ბაზრის, კურდამთავრებულთა/სტუდენტთა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელიც პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე იქნებოდა ორიენტირებული.

უსდ-მ წარმოადგინა კრედიტების მინიჭების, რეიტინგის, დამატებითი/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც საბოლოო

შეფასება სასწავლო კურსებში არ უნდა იყოს 30 ქულაზე მეტი, თუმცა კოლეჯის მიერ წამოდგენილი გასწორებულ სილაბუსების უმრავლესობაში შემაჯამებელი გამოცდა მოიცავს 40 ქულას. ვერც ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან და ვერც პროფესორებთან ინტერვიუს დროს ვერ დასახელდა ამის მიზეზი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პროფესორებს არ აქვს ინფორმაცია სილაბუსებში განხორციელებულ ცვილებებზე და მათ მიზეზებსა თუ შედეგებზე.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურები; აგრეთვე პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტის კანონიერ ინტერესებს.

უსდ-ს წამოდგენილი აქვს ასევე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოლოგია, თუმცა ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ვერ დასახელდა ვინ მიიღო მონაწილეობა ბოლოს ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში და რა სახის იყო ეს გეგმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯის არსებობის მანძილზე იყო მხოლოდ 1 შემთხვევა, როცა უსინათლო სტუდენტისთვის მომზადდა ინდივიდუალური გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა შეფასების,კრედიტების მინიჭების,რეიტინგის, დამატებით/განმეორებით კურსებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- საგანამათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სესაბამისი პროგრამით სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების და განვითარრების მეთოდოლოგია;
- ხარისხის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გათვალისწინებული პროცედურები თანხვედრაში იყოს ყველა შესაბამის დოკუმენტურ მასალასთან.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. (დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი) თავად პროგრამის შინაარსი ბევრ პუნქტში ბუნდოვანი და გაუმართავია.

მაგალითად ხარვეზებია პროგრამის მიზნის ნაწილში, სადაც ნათქვამია რომ "საბაკალავრო პროგრამა საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების დაუფლებაზე"ა ორიენტირებული. ეს არც საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეიძლება იყოს და ზოგადად არ შეეფარდება რეალობას. ასევე შეფასების კრიტერიუმებში. პროგრამაში საკვალიფიკაციო გამოცდის და სილაბუსის მაქსიმალური ქულა არაიდენტურია. შეფასების კრიტერიუმები სასურველია იყოს უფრო ნათელი და კონკრეტულად გაწერილი (ჩაშლილი). ასევე ხარვეზებია სილაბუსებშიც, სადაც სწავლის მეთოდები მოძველებულია, კურსებზე გათვალისწინებული დატვირთვა, რაც აისახება მინიჭებულ კრედიტებში ნაკლებად დამაჯერებელია. ზოგადად, მონიტორინგის რეკომენდაციები უმნიშვნელოდ არის გათვალისწინებული, რაც დროის სიმცირითაა გამოწვეული. ასევე დიდი ხარვეზებია კურსის სილაბუსებში. მაგალითად, პროგრამის ყველა მიმართულების სილაბუსი პირველი სემესტრიდან ბოლოს ჩათვლით ყველა კომპონენტში იდენტურია. სწავლის მიზნებითა და მეთოდებით დაწყებული მითითებული ლიტერატურით დამთავრებული. ანუ თითო მიმართულებისთვის პრაქტიკულად ერთი სილაბუსი არსებობს და ისიც გაუმართავია. ეს ყველაფერი ამტკიცებს კოლეჯის დოკუმენტაციის გაუმართაობას. თუმცა ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის პროფესორ მასწავლებლები აკმაყოფილებენ უმაღლესი დაწესებულების სტანდარტებს. არიან მაღალკვალიფიციურები და სილაბუსების მდგომარეობა არ ასახავს რეალურ სწავლის პროცესს და ხარისხს, რომელიც ბევრად უკეთესია სილაბუსში ასახულ სურათზე. ეს ნათლად აისახა ინტერვიუებში. ამასთანავე ქუთაისის კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები ცნობილი მუსიკოს შემსრულებლები არიან, დიდი გამოცდილებით და სახელით. კოლეჯის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ დოკუმენტაცია არადამაკმაყოფილებელი, დაგვეთანხმა არსებულ ხარვეზების არსებობაში და კოლეჯი ითხოვს ტრენინგებს საგანამანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსებში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შექმნის თაობაზე ტრენინგებისა და კონსულტაციების მოთხოვნაზე. როგორც მითითებულია წინა ავტორიზაციის დასკვნის სტრატეგიულ განვითარების გეგმის საპასუხო ნაწილში (1.2), მიმდინარეობს საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან.

კოლეჯს გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სტუდენტთა უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც ასევე სრულად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას, თუმცა მისი გამოყენების საჭიროება არ ფიქსირდება, რაც გამართლებულია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წინა დასკვნა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ პროფესორ მასწავლებლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- სილაბუსები უნდა იყოს შესაბამისობაში სასწავლო პროგრამასთან. ამასთანავე უნდა იყოს სრულფასოვანი, რაც გულისხმობს ყველა კურსის ინდივიდუალურ სილაბუსს. .

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა რეკომენდაციის თანახმად შეფასების სისტემა სრულად არის განახლებული. ის ხარვეზები და შეუსაბამობები რაც უკვე ავღნიშნეთ კოლეჯის პროგრამაში და სილაბუსებში გამოწვეულია ცვლილებების შეტანისათვის მონიტორინგით განსაზღვრული მცირე ვადით. პროფესორ მასწავლებლების უმეტესობა არ არის სილაბუსის ავტორი, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუს შედეგად. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არის უმეტესწილად მოძველებული და რუსულენოვანი. ამ ხარვეზის გამოსწორება კი ბიბლიოთეკის ბაზის განახლებას მოითხოვს, რაც ასევე თანხებთან და დროსთანაა დაკავშირებული. პროფესურის მიერ დამზადებული ქართულენოვანი სკრიპტები ასევე არ იძებნება ბიბლიოთეკაში. სილაბუსში მოცემული შეფასების კრიტერიუმები მისაღებია, თუმცა სასურველი იქნებოდა თანამედროვე მეთოდიკის გამოყენება, ასევე რეფერატის შეფასებაში არ აისახება ზეპირი გამოკითხვა, რასაც ინტერვიუს დროს ადასტურებს კურსის წამყვანი პროფესორი, როგორც პლაგიატის თავიდან აცილების ხერხს, თუმცა შეფასების კრიტერიუმში ეს არ არის ასახული. შეფასების სისტემის რეგულაციების შესრულება დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან მიღწეული შედეგების და ნაკლოვანების შესახებ, რაც დასტურდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით და ინტერვიუს შედეგებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალე და სამართლიანია, რის დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტი რომ არც ერთი გასაჩივრების შემთხვევა არ ყოფილა სტუდენტთა მხრიდან ამასთან დაკავშირებით.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც სილაბუსების ხარვეზები ; განსაკუთრებით ის, რომ სილაბუსების ავტორები არ არიან პროფესორები, რაც დასტურდება მაგალითად ქალბატონი სარუხანოვას ინტერვიუთი, როცა ზეპირ შეფასებაზე საუბროდა სილაბუსში და გადამოწმების დროს არ აღმოჩნდა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არის რუსულენოვანი და ძველი. საჭიროებს განახლებას. მათი დიდი ნაწილი არ იძებნება ბიბლიოთეკაში. ინტერვიუების მიხედვით დასტურდება, რომ პროფესორები ამზადებენ რუსული წიგნების ქართულ სკრიპტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. ეს არ დადასტურდა ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

წინა დასკვნა

სილაბუსები

ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

ინტერვიუ პროფესორ მასწავლებლებთან

ბიბლიოთეკის დათვალიერება ელექტრონული რესურსი კოლეჯის წესი პლაგიატის შესახებ ინტერვიუ სტუდენტებთან კითხვარები
რეკომენდაციები: აუცილებელია **შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად**
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორების გამოყენებას ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს განსაზღვვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც აღწერილია შრომის შინაგანაწესში, პერსონალის შერჩევის წესსა და პროფესორის ატესტაციის წესში. ქსკ-ის პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს აფილირების წესსაც. ქსკ-ს 19 აკადემიური პერსონალიდან 13 აფილირებულია. მაგრამ ქსკ ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორებს აკადემიური პერსონალის მთავარი აქტივობების შესაფასებლად და განსავითარებლად (სწავლა, გადამზადება, ტრენინგი, კვალიფიკავიის ამაღლება და

კვლევა). როგორც ინტერვიუებით დადასტურდა ამგვარი აკადემიური პერსონალის მართვის აქტიობები პერიოდულადაც ვერ ტარდება. ასევე, რთულია მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად უწყობს ხელს ქსკ თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებას, თუმცა ეს მითითებულია დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში (ამოცანა 1.5.). აუცილებელია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, თუმცა არსებული უმცირესი ბიუჯეტის ფარგლებში მსგავსი ცვლილებების განხორციელება ვფიქრობთ არარეალისტურია, რადგან ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი მხოლოდ მცირე სახელფასო ფონდს წვდება.

ასევე ქსკ არაა დანერგილი აკადემიური და არააკადემიური პერსონალის ტრენინგების შესაძლებლობები (მაგალითად ინგლისურ ენაში, სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებში) რაც კოლეჯის პერსონალის განვითარების საჭიროებას წარმოადგენს. ასევე ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს შეიმუშაოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია.

მნიშვნებოვანია ქსკ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, შემდეგ კი კვლევის შედეგი გამოიყენოს მართვისა და სწავლის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- მიღებული დოკუმენტები და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან.
- შრომის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ-გვერდზე

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს საკუთარი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; დაწესდეს და მოხდეს საშემსრულებლო, პედაგოგიური, მეთოდოლოგიური, კვლევითი უნარების ტრენინგის მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო სფეროში თანამედროვე სტანდარტების შესახებ ინფორმირება, მოხდეს მათი კვლევით და სახელოვნებო სფეროში ჩართულობა;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია; დაინერგოს ხელმძღვანელთა ტრეინინგი ახალგაზრდა კადრების რაოდენობის გასაზრდელად, რის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტთა ხელმძღვანელობის მოცულობაც;

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე წასვლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს დარგის პროფესიონალები, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად; კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდირებულია რეკრუტირების სტრატეგიის განვითარება ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი ნიჭიერი ინდივიდების, რაოდენობის გასაზრდელად.

რჩევები:

სასურველია ტოპ მენეჯმენტის და ადმინისტრაციული სამსახურების მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილება კვლევის კომპონენტზე;

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების გადახედვას საჭიროებს.

ქუთაისი სამუსიკო კოლეჯს გააჩნია აკადემიური პერსონალის წლიურად განახლებადი დატვირთვის გეგმა, რომელიც მოიცავს სასწავლო და შემოქმედებით/საშემსრულებლო დატვირთვას, თუმცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მკვეთრად ჩამოუვარდება პირველს. წარმოდგენილ ნიმუშებში წლიური დატვირთვა არ აღემატება 600-800 საათს, რაც იმას ნიშნავს, რომ აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი ყოველკვირეული დატვირთვა 20-25 საათით შემოიფარგლება. ამასთან, ძალზე ბუნდოვანია განაკვეთის ცნების გამოყენება წლიური დატვირთვის გეგმებში;

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში გამოიყენება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები, კერძოდ: აკადემიური, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრულ რაოდენობასთან არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს, ხოლო მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს ½-ს. იმავე დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა არ აღემატება 5%-ს და ამრიგად, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის მდგრადობას.

აფილირების წესში არის დაზუსტებული, რომ ქსკ-ის აკადემიური თანამდებობის პირი თავის აფილირებას მხოლოდ ქსკ-თან უნდა განსაზღვრავდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროფესორ-მასწავლებელთა წლიური დატვირთვის გეგმა (ნიმუშები)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სამიზნე ნიშნულები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია გადაიხედოს დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები.

რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს გააჩნია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული ყველა მხარისთვის ვებ გვერდზე (http://kutmuscollege.edu.ge/iuridiuli-dokumentebi.html). მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი გვაქვს შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება სწავლის დაწყებამდე და დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგადაც. კოლეჯს ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა შესაბამისი დებულებით, რომლის წევრების არჩევაც ხდება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ინტერვიუების შედეგებმა ეჭვქვეშ დააყენა სტუდენტების ჩართულობა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებსა და გადაწყვეტილებებში (წარმოდგენილი ოქმების მიუხედავად). სტუდენტურმა თვითმმართველობამ და დამოუკიდებელმა სტუდენტემა ვერ დაადსტურეს სტუდენტების არსებობა ზემოაღნიშნულ ორგანოში, შესაბამისად ვერ დამტკიცდა, რამდენად რეალურად იყენებენ სტუდენტები უფლებას, თავიანთი ინტერესების დაცვით მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დახვეწა/ცვლილებებში. საკმაოდ დაბალია სტუდენტების ცნობიერება მათივე როლისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის შესახებ მმართველ ერთეულებში. ქსკ-ს მიერ ჩატარებული კვლევები ნაკლებად ორიენტირებულია ხარვეზების აღმოჩენაზე. მათ

შედეგებს თან არ ახლავთ ანალიზი. ინტერვიუზე ვერ დადასტურდა მოჰყვა თუ არა რაიმე რეაგირება ამ გამოკითხვებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი სტუდენტის მიერ მაგალითად მოყვანილი ფაქტი. სპეციალობის პროფესორის შეცვლა გართულებების გარეშე წარმატებით განხორციელდა რექტორის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე, მაგრამ მაინც ბუნდოვანია მექანიზმი, რომელიც იცავს სტუდენტებს და განიხილავს მათ მიერ წარმოდგენილ საჩივრებს. უმეტესწილად სტუდენტების მოთხოვნების გაზიარება ხდება არა განცხადების შედეგად სისტემურად, არამედ დაყვანილია პირადი ურთიერთობებისა და შეტყობინებების დონეზე. ყურადსაღებია, რომ სტუდენტთა რაოდენობის სიმცირის და მუსიკალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე კოლეჯში გვხვდება საკმაოდ მჭიდრო კავშირი სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის, რაც ერთი მხრივ აღმოფხვრის კომუნიკაციისა და ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემებს, მაგრამ მეორე მხრივ ეს მდგომარეობა შესაძლოა ხელის შემშლელი იყოს რეალობის კრიტიკული და ობიექტური გააზრებისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებ გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/iuridiuli-dokumentebi.html)
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება, ბაკალავრიატის დებულება, თვითმმართველობის დებულება, მობილობით ჩარიცხვის წესი, კრედიტების აღიარების პროცედურა და წესი, მიღება/ჩარიცხვის წესი.
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები სისტემურად.
- დაინერგოს/განვითარდეს საქმის წარმოება განცხადების საფუძველზე
- დაიხვეწოს და პერიოდულად ჩატარდეს შიდა გამოკითხვები, რომლებიც უკეთესად ასახავს რეალურ მდგომარეობას. გაანალიზდეს და მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.
- გამოსწორდეს ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარვეზები
- გაიზარდოს სტუდენტის ჩართულობა სასწავლო პროცესების ცვლილება/მართვაში.

რჩევები:

- სტუდენტურმა თვითმმართველობამ და ადმინისტრაციამ პერიოდულად (მაგ. სასწავლო წლის დასაწყისში) გააცნონ სტუდენტებს ინფორმაცია იმ ორგანოებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ, სადაც მათ აქვთ საშუალება დაიცვან საკუთარი ინტერესები, უფლებები და წარადგინონ სურვილები (წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოები, სტუდენტური თვითმმართველობა)
- სტუდენტებმა გაითვალისწინონ თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობა მმართველ ერთეულებში

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ბუნდოვანია რამდენად იღებს სტუდენტი რეალურ კონსულტაციას.
მიუხედავად პროფესორ-მასწავლებლების წარმოდგენილი საკონსულტაციო ცხრილისა, პრაქტიკაში ინფორმაციის მიღება დამყარებულია მხოლოდ პირად კონტაქტებზე და არა კოლეჯის მიერ დანერგილ სისტემურ მიდგომაზე და სერვისზე.
მუსიკალური სფეროს სპეფიციკიდან გამომდინარე სპეციალობის კლასის პროფესორები ხელს უწყობენ საკონკურსო მიმართულებით სტუდენტების აქტივობებს. აღსაღნიშნია, რომ ხშირად პედაგოგები პირადი თანხებითაც ეხმარებიან სტუდენტებს, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი კიდევ უფრო ხაზს უსვამს ამ მიმართულებით კოლეჯის ხარვეზიან მენეჯმენტს.

ინტერვიუების შედეგად, კიდევ უფრო ცხადი გახდა არასაკმარისი ერთობლივი პროექტები სხვა უმაღლესებთან. პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კავშირები როგორც საკონკურსო და საშემსრულებლო მიმართულებით ,ასევე საგანმანათლებლო კუთხით.
უნდა ვახსენოთ კოლეჯის მიერ მაგალითად მოყვანილი შიდა სემინარები თუ პრეზენტაციები, რომლებიც სამწუხაროდ არასაკმარისია კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.
სტუდენტური ინიციატივების მხაარდაჭერა არ ხდება მატერიალურად.
პრობლემის არგუმენტად სტუდენტების მხრიდან დასახელდა ბიუჯეტის სიმცირე, მაგრამ ამავდროულად ბუღალტერია უარყოფს სტუდენტების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს, რაც ეჭვს ბადებს, რომ პროექტების ფინანსური მხარდაჭერის არ ქონა გამოწვეული არ არის მხოლოდ შეზღუდული ბიუჟეტით.

საყურადღებოა, რომ კოლეჯის მხრიდან არ/ვერ ხერხდება დამატებითი თანხის მოძიება, რაც ამ სფეროში მოღვაწე ინსტიტუციის საკმაოდ დიდ ნაკლოვანებად შეიძლება მივიჩნიოთ.
უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ნაკლებად გამოხატავენ რაიმე ცვლილებისა და კრიტიკის სურვილს. ამ ეტაპზე სტუდენტები ინტერვიუშიც და გამოკითხვაშიც საკმაოდ დადებითად ახასიათებენ კოლეჯში არსებულ მდგომარეობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს კრიტიკულ/ობიექტური შეფასების არსებობას.
ყოველივე ეს ინტერმაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებლით შეიძლება აიხსნას. საერთაშორისო მობილობისა და მასტერკლასების რაოდენობის გაზდა შეძლებისდაგვარად გახდება გარანტი სასწავლებელის ყველა მხარისთვის (სტუდენტები, ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი), შედარების პრინციპით აკონტროლონ არსებული მდგომარეობა, ხარისხი და არ ჩამორჩნენ განვითარებად ტენდენციებს, რაც სხვა მუსიკალურ სივრცეებში მიმდინარეობს.
ინტერნაციონალიზაციის შემდეგ გამოკითხვები და კოლეჯში ჩატარებული კვლევები უკვე მოგვცემს საშუალებას შედარებით ობიექტურად აღიწეროს არსებული რეალობა.
სტუდენტური თვითმმართველობისთვის არ არის განსაზღვრული ბიუჯეტი. სტუდენტური პროექტები თანხით არ ფინანსდება. მათთვის გამოყოფილია მხოლოდ 3000 ლარი, რომელიც განსაზღვრული წესით სტიპენდიებზე ნაწილდება (წარმოდგენილია სტიპენდიის გაცემის წესი და გათვალისწინებულია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებიც)
კოლეჯს ამ ეტაპზე არ ჰყავს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტები, ამიტომ მათი მხარდაჭერის პრაქტიკული გადამოწმება ვერ მოხერხდა

რა თქმა უნდა, დასტურდება რომ რეგიონში საკმაოდ მოთხოვნადია საორკესტრო მიმართულების შემსრულებელი, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძირითადად ახალი კურსდამთავრებულები ტოვებენ ქალაქს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მაგისტრატურის ხარისხის მიღების საშუალება ქუთაისში მათ არ ეძლევათ. სწავლების პარალელურად დამსაქმებლები თავს იკავებენ სტუდენტებთან თანამშრომლობაზე, მაგრამ კოლეჯის დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს აქტიური კავშირი ქუთაისის ოპერის თეატრთან,სადაც გარკვეული მიმართულების სტუდენტებს საშუალებას ეძლევათ გამოცდილება დააგროვონ კოლეჯში სწავლის პერიოდისას. დამსაქმბლებთან გასაუბრებამაც ვერ დაადასტურა კოლეჯის მხრიდან ახლად დამთავრებულ სტუდენტებზე ზრუნვის პოლიტიკა ინსტიტუციურ დონეზე. ასევე გასაუბრება შედგა მხოლოდ დიდიხნის კურსდამთავრებულებთან, რაც ართულებს ამჟამინდელი მდგომარეობის აღქმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● ინტერვიუს შედეგები ● ვებ გვერდი (ახალი ამბები http://kutmuscollege.edu.ge/axali-ambebi/) ● სტიპენდიის გაცემის წესი ● ქსკ-ში ჩატარებული კვლევა და შედეგები ● წარმოდგენილი დოკუმენტაცია (საკონსულტაციო ცხრილი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, სამოქმედო გეგმა-გრაფიკი)
რეკომენდაციები: ● დაიხვეწოს და განვითარდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, როგორც საშემსრულებლო ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით ● შემუშავდეს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა ● დაფინანსდეს სტუდენტების ინიციატივები კოლეჯის მხრიდან, შესაბამისად ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა მხარდაჭერის ღონიძიებები ● კოლეჯმა იზრუნოს დამატებითი თანხების/დაფინანსების მოძიებაზე ● დაიხვეწოს გამოკითხვა ● რეკომენდირებულია კოლეჯს ჰყავდეს სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი
რჩევები: ● **ბიუჯეტში განისაზღვროს დაახლოებითი თანხა, რომლის ათვისების საშუალებაც ექნებათ სტუდენტებს**
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</u>

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: როგორც წინა ავტორიზაციის დასკვნაში არის წარმოდგენილი, კვლევითი საქმიანობის ნაწილი ქუთაისის კოლეჯში აქამდე საერთოდ არ იყო დოკუმენტურად აღნუსხული, რამაც დიდი პრობლემები შეუქმნა ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას. დღესდღეისობით რიგი დოკუმენტაცია მოწესრიგებულია. მაგალითად შემუშავებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პოლიტიკა და პროცედურები, ასევე პროფესორ მასწავლებელთა წლიური დატვირთვის გეგმა. თუმცა როგორც თავად კოლეჯის ადმინისტრაცია აღნიშნავს, მონიტორინგის კვლევითი საქმიანობის პასუხის ნაწილში, ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით და სამწუხაროდ ჯერ დადებითი ძვრები არ არის. ამავე საბუთში მითითებულია რომ კოლეჯი მომავალი წლიდან იზრუნებს, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვით უფრო ეფექტურად და ხარისხიანად იყოს უზრუნველყოფილი სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტები, თუმცა მოქმედების გეგმა ვერ წარმოგვიდგინა ვერც დოკუმენტის სახით და ვერც ინტერვიუს მსვლელობისას. ასევე არ არსებობს ჩატარებული კონცერტების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების ხარისხის ინდიკატორები და შემოიფარგლება დამსწრე საზოგადოების რეაქციით. კონცერტებში მონაწილე სტუდენტთა შეფასება ხდება ქულებით, რაც აისახება სპეციალურ უწყისში, (საშემსრულებლო პრაქტიკა)და განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. სხვა სახის ანალიზი ან კვლევის შეფასების ფორმა არ არსებობს. ამ ხარვეზის გამოსწორებას კოლეჯის ადმინისტრაცია მომავალ სემესტრიდან აპირებს, თუმცა მოქმედების გეგმა ვერ წარმოადგინა და აპელირება კვლავ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტში მიმდინარე პროცესზე ჰქონდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: პროფესორ მასწავლებელთა წლიური დატვირთვის გეგმები პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პოლიტიკა და პროცედურების დოკუმენტი დანართი 10 საშემსრულებლო პრაქტიკის სპეციალური უწყისები ფალულტეტის საბჭოს ოქმები ინტერვიუები პროფესორ მასწავლებლებთან გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: **შეიქმნას სახელოვნება -შემოქმედებითი პროექტების ეფექტურად და ხარისხიანად მოქმედების გეგმა.**
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ამას მემგომი უნდა გადავხედოთ

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მიუხედავად უკვე გაწეული რეკომენდაციისა კოლეჯს ჯერჯერობით არ აქვს შემუშავებული შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმები. თუმცა როგორც ადმინისტრაცია აცხადებს ისინი სამომავლოდ აპირებენ ამ გეგმის შემუშავებას. ვადები და გეგმის მონახაზი სამწუხაროდ ვერ წარმოადგინეს.
პერსონალის ფინანსური წახალისება გამოიხატება ერთჯერად თანხობრივ სარგებელში, როგორც, მაგალითად, დაბადების დღის საჩუქარი.
ადმინისტრაცია სამომავლოდ გეგმავს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის სისტემას და სტუდენტთა სახელოვნებო ინოვაციებს, რაც ასევე ბუნდოვანია და რეალური გეგმის ინტერვიუში წარმოდგენაც კი ვერ მოხერხდა.
ასევე არ დასტურდება განცხადება უცხოელ პარტნიორებთან ინსტიტუციურ თანამშრომლობის დამყარებაზე. ამასთან ინტერვიუს შედეგად იქმნება შთაბეჭდილება რომ ადამიანი, რომელსაც ბრძნებით აქვს დაკისრებული საერთშორისო მიმართულბით მუშაობა ბოლომდე ვერ ითვისებს ინტერბაციოანლიზაციის არსს და არ იცნობს სტრატეგიაში გაწერილ გეგმას ამ მიმართულებით.
ქსკ-ს ასევე არ აქვს ინტერნაციოანლიზაციის პოლიტიკის შესაბამისი ნათელი სამოქმედო გეგმა.
საზოგადოებრივ საწყისებზე აყვანილი ერთი ადამიანი არის პასუხისმეგებლი დაწესებულების ინტერნაციოანლზიაციაზე

მონიტორინგის ექსპერთა მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად აქცენტი გაკეთებული იყო შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების შემუშავებასა და პერსონალის მიერ დამატებითი სახსრების მოპოვების წახალისებაზე; აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდამჭერი ღინისძიებების განხორციელებაზე. უნდა ითქვას რომ მართვის იმ სისტემური ხარვეზების გათვალსიწინებით, რომელიც თვს იჩენს სტრატეგიული გეგმის, ბიუჯეტის, პასუხისმგებელი პირების ბუნდოვანების, კონკრეტული ვადების მიუთითებლობის და სხვ პრიოებბში რეკომენდაცია შესრულებისთვის არარეასლიტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი
საქმისწარმოების ინსტრუქცია
კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/misia.html)
სწავლების ხარისხის განვითრების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები
კვლევისთვის საჭირო კითხვარები
ხარისხის დებულება
წინა საბჭოს დასკვნა
ბრძანება ინტერნაციოანლზიაციაზე პასუხისნგებელ პირზე

რეკომენდაციები:

- შეიქმნას სამოქმედო გეგმა კვლევისა და ინტერნაციონალზიაციის განვითრებისათვის

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კვლევითი საქმიანობის შეფასების ნიშნულად, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მივიჩნევთ პროფესორ მასწავლებლების მიერ ჩატარებულ შემოქმედებით საქმიანობას. როგორც საკუთარ კონცერტებს, ასევე მათი სტუდენტების მიერ ჩატარებულ კონცერტებს და განხორციელებულ პროექტებს. როგორც დასტურდება ინტერვიუებით პროფესორ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ასევე კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული მასალით და საკონცერტო აფიშებით პროცესი აქტიური და საინტერესოა. კოლეჯის ადმინისტრაციამ დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება (დანართი 11) და აღნიშნა, რომ ანგარიში წარედგინება სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევისას. სამწუხაროდ, არ ხორციელდება მსგავსი ანგარიშების გამოქვეყნება, რაც მომავალ სემესტრიდან იგეგმება. ინტერვიუს მსვლელობისას გაირკვა რომ მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ არ დაწყებულა.

რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;
რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის

შეიძლება ითქვას რომ წინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ, სასურველი იქნებოდა შეფასების და ანალიზის ფორმის შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

დანართი 11
ვებ გვერდი
ინტერვიუები
სტუდენტთა შეფასებები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;

რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის

რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი განკარგავს მატერიალურ რესურსებს, რომლებიც სრულფასოვნად ვერ ემსახურება ორგანიზაციის მისიასა და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში წარმოდგენილი მიზნების მიღწევას. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ მიწის ფართი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და ის სარგებლობაში გადაცემულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯისთვის. შენობაში არსებობს აუდიტორიები თეორიული სწავლებისთვის, ორი საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები. ამჟამად კოლეჯის ბალანსზეა ერთი როიალი, ორი პიანინო, არფა და კონტრაბასი; ასევე რვა პერსონალური კომპიუტერი. მუსიკალური საკრავები შესყიდულია 1990-იან წლებში, ხოლო კომპიუტერებს უმრავლესობა 2005 წელს. ბოლო ათი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ძირითადი აქტივების შესყიდვა/განახლება გარდა კონდიციონერის და ველოტრენაჟორისა. შენობის ვიზუალური დათვალიერების და საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ამორტიზებული ძირითადი აქტივების რაოდენობა მაღალია, მათ შორის რთულ მდგომარეობაშია მუსიკალური საკრავები რაც ლოგიკურად მიუთითებს მათი განახლების საჭიროებაზე. მუსიკალური ინსტრუმენტები, ისევე როგორც მთლიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (საკონცერტო დარბაზები, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ზოგადად შენობა-ნაგებობა) საჭიროებს აუცილებელ განახლებასა და რეაკონსტრუქციას. დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ნაკლებად

შეესაბამება კოლეჯის შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს. თუმცა კოლეჯის სტრატეგიული გეგმის თანახმად, დაგეგმილია შენობა ნაგებობის ცალკეული სივრცეების რეკონსტრუქცია, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. თუმცა არსებული ბიუჯეტის ფარგლებში ვფიქრობთ არარეალისტურია ქსკ-ის ცალკეული სივრცეების რეკონსტრუქცია.

შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში მეტ-ნაკლებად დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები და ევაკუაციის გეგმა დატანილია შენობაში კედლებზე, შესამჩნევ ადგილას. კოლეჯში მოქმედი შინაგანაწესის მიხედვით დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან 24 საათი აკონტროლონ კოლეჯი და მისი მიმდებარე პერიმეტრი. კოლეჯში არსებობს სამედიცინო კუთხე და ექთნის პოზიცია შეთავსებული აქვს, ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც სამედიცინო გამოცდილების მქონე პირია.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს სათანადო გარემოს, რომელიც შესაბამისია სახელოვნებო, საგანმანათლებლო აქტივობისათვის საჭირო პირობებს. სანიტარული ერთეულები სავალალო მდგომარეობაშია, კოლეჯს წყალი მიეწოდება გრაფიკით, ასევე არ არსებობს ცენტრალური გათბობის სისტემა, კონდიცირება, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს რთულ მდგომარეობაში აყენებს და აფერხებს სრულყოფილი სასწავლო პროცესის მსვლელობას.

ინტერვიუების დროს გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, სანიტარული კვანძების გაუმართაობით უკმაყოფილოა.

ექსპერთა ჯგუფი თანხმდება, რომ დაწესებულებაში მეტ-ნაკლებად დაცულია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

რაც შეეხება გარემოს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, კოლეჯი საჭიროებს გაუმჯობესებას ამ კუთხით მიუხედავად იმისა რომ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში არ არსებობს მსგავსი ტიპის სტუდენტების პრეცედენტი (გამონაკლისი იყო მხოლოდ რამდენიმე წლის წინ უსინათლო სტუდენტი).

ვიზუალური დათავლიერების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა არ არის სრულყოფილად ადაპტირებული შშმ პირებისთვის. თუმცა შენობაში გაკეთებულია პანდუსები. მაგრამ, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად ადაპტირებულია სასწავლო თუ დამხმარე სივრცეები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის სამინისტოს მიერ მუდმივ სარგებლობაში გადაცეიმს დამადასტურებელი დოკუემნტაცია
- და საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმიდან
- ვიზუალური დათავლიუერება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია, რათა მოხდეს კოლეჯის შენობა-ნაგებობის სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და რეკონსტრუქცია;
- რეკომენდირებულია კოლეჯში ცენტრალური გათბობის სისტემის, კონდიცირების დამონტაჟება; წყალგამყვანი სისტემების მოწესრიგება, რათა კოლეჯის სანიტარულ კვანძებში დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები;
- რეკომენდირებულია კოლეჯში შემოქმედებითი, საშემსრულებლო საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მოხდეს მუსიკალური ინსტრუმენტების ბაზის განახლება, რესტავრაცია; მოხდეს ბიბლიოთეკის, ფონოტეკის, საკონცერტო დარბაზბის და აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვა;
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში უფრო მეტად თავისუფლად გადაადგილებისთვის.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკა აერთიანებს საცავსა და სამკითხველო დარბაზს, მაგრამ არ გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა.
ძალიან რთულად მუშაობს 2 ძველი კომპიუტერი, რომელთაც არ გააჩნიათ ყურსასმენები, შესაბამისად შეუძლებელია ორმა სტუდენტმა პარალელურად ჩართოს მოსასმენი მასალა.

ბიბლიოთეკისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საძიებო სისტემა, მაგრამ
შეუძლებელია ელ. დაჯავშნა.
აღსაღნიშნია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს უფასო ელექტრონული ბაზები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ გარკვეული სანოტო მასალის მოძიება.
ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკაში სრულად არ იყო მოცემული სილაბუსებში ნახსენები ლიტერატურა.

ყურადსაღებია, რომ ვხვდებით ძირითადად რუსულენოვან მასალას და იშვიათად ვხვდებით თანამედროვე რეპერტუარს.
ბიბლიოთეკის განახლება ხდება მხოლოდ შემოწირულობების ხარჯზე. წარმოდგენილი ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმის (2018-2019 სასწავლო წელი) მიუხედავად, ბიუჯეტში სამომავლო ნაბიჯები პრაქტიკულად არ ისახება, არც ფონდის განახლების და არც თანამშრომელთა გადამზადების კუთხით.

ინტერვიუზე დადასტურდა რომ სტუდენტები კმაყოფილნი არიან ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მომსახურების ხარისხით, თუმცა ისინიც აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოები და სანოტო ლიტერატურა ნაწილობრივ არის დამაკმაყოფილებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი
- ინტერვიუს შედეგები
- წარმოდგენილი მასალა

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს ბიბლიოთეკის განვითარების პოლიტიკა
- შეივსოს და განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა და საჭირო ინფრასტრუქტურა
- დაინერგოს ელექტრონული დაჯავშნის სისტემა
- ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს ვებ-გვერდი, რომლის ადმინისტრება (ქართულ/ინგლისურ ენაზე) და ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი მომსახურე პირის მიერ.

მასზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, სტრუქტურის და არსებული პროგრამების შესახებ. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი.

ამ ეტაპზე კოლეჯში არ მოქმედებს არც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და არც დოკუმენტების ელ. ბრუნვის სისტემა.

კომპიუტერული ტექნიკა მათ შორის კომპიუტერები, პროექტორი, ქსეროქსის აპარატი, თანაბრად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, მაგრამ არ არის ყურსასმენები, რაც ხელის შემშლელია ბიბლიოთეკის გამოყენებისას.

სტუდენტებისთვის გამიზნული კომპიუტერების გამოყენება მსგავსი მონაცემებით, სიძველიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუსაბამოა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულსთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებ გვერდი
- ბალანსზე აყვანის დოკუმენტები
- დათვალიერება
- ბრძანება ტრექნიკური უზრუნველყოფის პერსონალის შესახებ

რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას.

● საჭიროა განახლდეს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ბოლო ხუთი წლის მანძილზე უცვლელია. შემოსავლების ძირითადი ნაწილი გამოიყენება სახელფასო ხარჯის დასაფარად.
კოლეჯის ბიუჯეტს არ გააჩნია სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროები - საკუთარი შემოსავლები (თანადაფინანსება, პარტნიორი ორგანიზაციები, დონორები, შენობის გაქირავებით მიღებული სახსრები, კერძო შემოქმედებითი სტუდიებიდან მიღებული თანხა და სხვა).

კოლეჯის ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის წესის მიხედვით საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი ეფუძნება აკადემიური საბჭოს, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ფართო ჩართულობით შემუშავებულ პრიორიტეტების ნუსხას.
ბიუჯეტის ფორმირებისას ადმინისტრაციის უფროსი, ფინანსური სამსახურის უფროსთან ერთად თანამშრომლობს ფაკულტეტებთან. ბიუჯეტის ფორმირებისას ის წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად. ბიუჯეტის შესრულებაზე და მის კონტროლზე პასუხისმგებელია საფინანსო სამსახური.
საგულისხმოა, რომ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ბიუჯეტი (არარსებული დამატებითი ფინანსური რესურსები) არარელევანტურია და არაა საკმარისი კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისათვის და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების ეფექტურად შესრულებისთვის.
აუცილებელია შემუშავდეს ბიუჯეტის ზრდის მექნიზმი, კოლეჯის ადმინისტრაციის, რეგიონული მთავრობის ძალისხმევითა და სამთავრობო ინსტიტუტების ჩართულობით, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლეჯისათვის სათანადო პირობების შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლებას, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვას, კვლევის არსებობას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას და ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსებობას.
ქსკ-ს გააჩნია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. მიუხედავად ამისა, კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება გარე ფინანსური აუდიტი, რომლის დასკვნა საბალანსო დოკუმენტებთან ერრთად წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (დანართი აუდიტის დასკვნა).

რექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ყოველწლიურად კოლეჯის ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზნით ტარდება კერძო აუდიტის შემოწმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020 ● დაფინანსების დინამიკის დოკუმენტი ● ფინანსური მართვისა და კონტროლის დოკუმენტი ● შემოსავალი-ხარჯების დოკუმენტი 2017 ● შემოსავალი-ხარჯების დოკუმენტი 2018 ● კოლეჯის ვებ-გვერდი ● ინტერვიუები ● ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია, რათა შემუშავდეს ბიუჯეტის ზრდის მექნიზმი, რომლებიც უზრუნველყოფს კოლეჯისათვის შემოქმედებითი, საშემსრულებლო და საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას; ● რეკომენდირებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, კვლევის არსებობის ხელშეწყობა, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსებობის ხელშეწყობა,
რჩევები: ● სასურველია სტუდენტთა თვითმართბელობისთვის მეტი ავტონომიის მისანიჭებლად და მათი მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განსახორციელებლად მიზანშეწონილია თვითმართველობის ფინანსური ბიუჯეტის განაწილების დეცენტრალიზაცია. ● სასურველია კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას;
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციი	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და

			ს კოდით)		**აკრედიტებული)**	**ნომერი**
1	საშემსრულებლო ხელოვნება – (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა)	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი	240	ავტორიზებული	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1, 2014.03.01
2						
3						
4						
5						